



საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ 1994 წლის 1 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქველმოქმედო ცენტრი.

ორგანიზაციას მუშაობა საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდში მოუწია-კონფლიქტი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ათასობით დევნილი და იძულებით გადაადგილებული ადამიანი, გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები... ასეთ რთულ ვითარებაში „ლაზარემ“ საერთაშორისო მართლმადიდებელი ქრისტიანული მოწყალეების ორგანიზაციის IOCC-ის თანადგომით, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების განაწილება. გაჭირვებულთა კატეგორიები მოიცავდა დევნილებს, მარჩენალის გარეშე დარჩენილ ოჯახებს, მრავალშვილიანებს, შშმ პირებს, მარტოხელა მოხუცებს და ა.შ.

1994 წელს, მსოფლიო სასურსათო პროგრამის WFP-ის მიერ გადმოცემული საოჯახო ამანათები დაურიგდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას; ამავე წლის დეკემბრიდან 1997 წლის თებერვლამდე, მიმდინარეობდა სხვადასვა საკვები პროდუქტების განაწილება (დონორები: WFP, USAID, IOCC, UMCOR); პარალელურად საერთაშორისო ორგანიზაციების - WFP, ACT, CRISTIAN AID, SAVE THE CHILDREN, CARIRAS, USDA, IOCC- დახმარებით, თბილისა და ზუგდიდში ტაძრებთან მოეწყო უფასო სასადილოები.

1998 წლის გაზაფხულზე, ზუგდიდსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში, გალის რაიონიდან დევნილთა ახალი ნაკადი გამოჩნდა, ამ შემთხვევის გამო „ლაზარეს“ გერმანიიდან გამოეხმაურა ორგანიზაცია DIAKONISCHES WERK, რომელმაც დევნილთა დასახმარებლად გამოყო დაფინანსება, რითაც ბიომეურნეობის ასოციაცია „ელკანასთან“ ერთად შეძენილ იქნა ჭურჭელი, სარეცხი საშუალებები, ლეიბები, საბნები და საკვები პროდუქტები.

1998 წლის დეკემბერში, ფონდ „ლაზარეს“ ორგანიზაცია WORLD VISION-მა გადასცა ამერიკელი ბავშვების მიერ შეგროვებული სასკოლო ნივთები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; საჩუქრები გადაეცა თბილისსა და შატლში მდებარე შშმ სახლებს, სკოლა-ინტერნატებს, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

დონორების - WFP, ACT, CRISTIAN AID, USDA - მეშვეობით 1998 წლიდან კვლავ გაგრძელდა უფასო სასადილოების მოწყობისა და საკვები პროდუქტების განაწილების პროგრამა, რომელიც 2001 დასრულდა.

ჰუმანიტარული დახმარების გარდა, „ლაზარე“ დონორების - IOCC, WCS - მხარდაჭერით, 1995-2000 წლებში ახორციელებდა თვითდასაქმების პროექტს (დევნილი ქალბატონები კერავდნენ ლეიბებს და საბნებს, იღებდნენ გასამრჯელოს, ნახელავი კი - უსასყიდლოდ ურიგდებოდა ბავშვთა სახლებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მოხუცებს, შშმ პირებსა და თავად დევნილებსაც).

2000 წელს, ფონდი „ლაზარე“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებით, დარეგისტრირდა, როგორც არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი და ჰუმანიტარული დახმარების პროექტებთან ერთად დაიწყო განვითარების პროექტების განხორციელება.

2002-2004 წლებში, დონორების - **UNDP, USAID, WORLD BANK, SCD** - ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარეობდა თვითუზრუნველყოფის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი ქალების სილამაზის სალონების მოწყობას და მათთვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზებას, - სტილისტის, კოსმეტოლოგისა და მასაჟისტის სპეციალობების დასაუფლებლად. მოგვიანებით, მსგავსი შინაარსის პროექტი ორგანიზაცია **HEKS-EPER**- მა დააფინანსა.

2006-2012 წლებში, „ლაზარე“ (დონორი:**HEKS-EPER**) სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის ახორციელებდა სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შენობაში გამოიყო ფართობი და მოეწყო სასწავლო სახელოსნო, სადაც ბენეფიციარები უსასყიდლოდ ეუფლებოდნენ ხისა და ფერადი ლითონების დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიებს. კურსის დასრულების შემდეგ, წარჩინებულ მოზარდებს, მცირე ბიზნესის წარმოებისთვის, საჩუქრად გადაეცემოდათ პროექტის ფარგლებში შექმნილი ინვენტარი და შესაბამისი აღჭურვილობა.

2007-2011 წლებში, „ლაზარემ“ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით, სომხურ არასამთავრობო ორგანიზაცია „**Syunik**“-თან ერთად განახორციელა პროექტი სახელწოდებით: „საზაფხულო ბანაკები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოზარდებისთვის,“ (დონორი: **HEKS-EPER**), რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში მცხოვრები ბავშვების აქტიურ დასვენებას საქართველოსა და სომხეთში.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობისათვის „ლაზარემ“ კვლავ დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების განაწილება, რომელიც თბილისსა და გორში 600-მდე ადამიანმა მიიღო.

2009 წელს, ფონდმა „ლაზარემ“ ბანკ „რესპუბლიკის“ ფინანსური მხარდაჭერით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შემოქმედების ამსახველი ალბომი გამოსცა, რომელშიც წარმოდგენილ თითოეულ ნამუშევარს თან ერთვის შექმნის ისტორია და დამთვალეობისთვის უაღრესად საინტერესოა.

2010 წელს, „ლაზარეს“ საქმიანობით დაინტერესდა სს „**თელასი**,“ რომლის თანადგომით, სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტის ფარგლებში მოზარდთათვის დამატებით გაიხსნა ხის დამუშავების, ხატვისა და კერვის შემსწავლელი სახელოსნოები.

2012-2016 წლებში, **HEKS-EPER**-ის და სს „**თელასის**“ მიერ ერთობლივად დაფინანსებული სახელობო სწავლების პროექტი საქართველოს საპატრიარქოს ფინანსური მხარდაჭერით გაგრძელდა და ამასთანავე დაემატა თექის, მინის მხატვრული დამუშავებისა და ფარდაგების ქსოვის შესწავლაც.

2014 წლის გაზაფხულზე, „ლაზარემ“ (დონორი: **HEKS-EPER**) საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის დაარსა პროფესიული კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“. პროექტის მიხედვით, ბენეფიციარებს, საკუთარი შემოსავლების

გაზრდის მიზნით, მიეცათ შესაძლებლობა სრულიად უდასოდ მიეღოთ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მეფუტკრეობისა და მებოსტნეობის დარგში.

2014 წელს **HEKS-EPER**-ის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოთხმა პარტნიორმა ორგანიზაციამ, სადაც განხილულ იქნა საკითხები სამშვიდობო პროექტის ახალი ეტაპის მოსამზადებლად. 2015 წლის იანვრიდან კი - განხორციელება დაიწყო პროექტის სამწლიანმა ფაზამ სახელწოდებით: „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“.

2015 წელს, შემოსავლების სამსახურში წარდგენილი განაცხადისა და საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, ფონდ „ლაზარეს“ მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

2015 წელს, ფონდმა **სს „თელასის** ფინანსური მხარდაჭერით, სკოლის მოსწავლეებისთვის განახორციელა პროექტი „სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები,“ რომლის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთდღიანი ვიზიტების მოწყობით ექსკურსიებს საგანმანათლებლო დატვირთვა მინიჭებოდა, მოსწავლეებს კი - არაფორმალურ გარემოში აქტიურობისათვის ცოდნა და უნარ-ჩვევები.

2015 წელს, ისრაელის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსგან (**MASHAV**), „ლაზარემ“ მიიღო გრანტი, რომლის ფარგლებში, საგარეჯოს რაიონში 2 ჰა მიწის ფართობზე გაშენებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხეხილის ბაღი, წარმოადგენს ფონდის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლის“ სასწავლო პრაქტიკულ ბაზას.

2015-2017 წლებში, ფონდმა გაეროს წარმომადგენლობის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, გაეროს ქალთა გილდიის საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაში (**UNWG International Festival – Charity Bazaar**). ღონისძიება ყოველწლიურად 100-ზე მეტი ქვეყნის მონაწილეობით იმართება, ქველმოქმედებიდან შემოსული თანხა კი - გაეროს ბავშვთა ფონდში ირიცხება, რომელშიც თავისი მცირე წვლილი „ლაზარემაც“ შეიტანა.

2016 წელს, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, საქართველოს საპატრიარქოსა და **HEKS-EPER**-ის ფინანსური თანადგომით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლების გაზრდის მიზნით, ფონდმა სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი კიდევ ერთი პროექტი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სოფლის მაცხოვრებლები უსასყიდლოდ დაეუფლნენ ფერმერის, მეფუტკრის, მესაქონლის, მებოსტნისა და მეხილის პროფესიულ პროგრამებს.

2016 წლის ოქტომბრიდან, „ლაზარემ“ **სს „თელასის“** მხარდაჭერით, დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი - „წიგნები სკოლებს“, რომლის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სკოლას საჩუქრად გადაეცა 1000-ზე მეტი ერთეული მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა. პროექტის მიზანი იყო რეგიონებში განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაღვივება და ინტერესის გაზრდა.

2017 წელს **HEKS/EPER**-ის მიერ ხორვატიიდან მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა 84 გვერდიან დოკუმენტში შეაფასა პროექტი, - „ახალგაზრდები მშვიდობისთვის სამხრეთ კავკასიაში“- და დაასკვნა, რომ: „შედეგები სრულ შესაბამისობაშია და რელევანტურია

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით არსებული შესაძლებლობების, ქვეყნის საჭიროების, გლობალური პრიორიტეტების, პარტნიორების, დონორის, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის, მათ შორის გაეროს 2250-ე რეზოლუციის მიმართ“. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, **HEKS/EPER**-ის გადაწყვეტილებით, გაგრძელდა პროექტის ახალი სამწლიანი ფაზა (2018-2021წ წ.).

2018 წელს „ლაზარეს“ პროფილი გამოქვეყნდა ორგანიზაცია **Insight on Conflict** საიტზე (**Peace Direct**), სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო ორგანიზაციები, რომლებიც მშვიდობის მშენებლობაზე მუშაობენ.

2019-2021 წლებში, ფონდ „ლაზარესა“ და **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** მხარდაჭერით, განხორციელდა მეორე სამშვიდობო პროექტი სახელწოდებით: „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“, რომლის ფარგლებში, სხვადასხვა სამშვიდობო აქტივობებთან ერთად, ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციაში გამართულ საზაფხულო ბანაკში სრულიად უფასოდ 150-მდე მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. პროექტის მიზანი იყო ქართველ და ოს ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და სამშვიდობო სულისკვეთების გაღვივება.

საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ საქართველოს ეკლესიის, უცხოელი დონორებისა და ადგილობრივი კომპანიების თანადგომით დღემდე წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებს.

ფონდის მიზანია ქვეყანაში მშვიდობისა და კეთლდღეობის მიღწევა, - საზოგადოების ეკონომიკური გაძლიერების, ახალგაზრდების ცნობიერების, მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების ხელშეწყობით.